

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №368
2023 წლის 10 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დანართი №II-01² და დანართი №II-01³ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. 68-ე მუხლის:

ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საქონლის/მომსახურების შეძენისას გადახდილი დღგ-ის დაბრუნების მიზნით, დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ ან/და დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრმა საგადასახადო ორგანოში უნდა წარადგინონ „განაცხადი გადახდილი დღგ-ის დაბრუნების თაობაზე“ №III-21 დანართის შესაბამისად, რომელსაც თან უნდა დაერთოს შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე დღგ-ის გადამხდელის მიერ გამოწერილი საგადასახადო ანგარიშფაქტურა/ანგარიშფაქტურები, ხოლო მატერიალური ფორმით გამოწერილი საგადასახადო ანგარიშფაქტურ(ებ)ის შემთხვევაში – პირველი ეგზემპლარ(ებ)ი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტის მიერ მის სახელზე გაცემული პირადობისა და ოფიციალური სტატუსის დამადასტურებელი შესაბამისი სააკრედიტაციო ბარათის ასლი.“;

ბ) მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6¹ და 6² პუნქტები:

„6¹. დიპლომატიური წარმომადგენლობისთვის ან/და გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრისთვის დაბრუნებული დღგ-ის თანხის შესახებ მონაცემები აისახება გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე.

6². დიპლომატიური წარმომადგენლობის ან/და გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრისთვის, ასევე დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრისთვის, რომელიც გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული არ არის, დაბრუნებული დღგ-ის თანხის შესახებ მონაცემები აისახება მონაცემების ერთიან ელექტრონულ ბაზაში.“;

გ) მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ხარვეზის არარსებობის შემთხვევაში, განაცხადის წარდგენიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ამ მუხლით დადგენილი წესით, უზრუნველყოფს თანხის დაბრუნებას“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

